



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

ნოე ქაშიბაძე

06.12.2013 წელი

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 9/129

2011 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 1 ოქტომბერი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	3
ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	4
ფორმა N1 - ბალანსი 2011.....	6
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011.....	7
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011	8
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011.....	9
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011	10
ფორმა N1 - ბალანსი 2012.....	11
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012.....	12
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2012.....	13
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2012.....	14
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2012	15
ფორმა N1 - ბალანსი 2013 წლის 9 თვე	16
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 წლის 9 თვე.....	17
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2013 წლის 9 თვე.....	18
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2013 წლის 9 თვე.....	19
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2013 წლის 9 თვე.....	20
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები	21

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის (შემდეგში აფხაზეთის მინისტრის აპარატი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიშები ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშები წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშები სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიშები არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშები ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2011 წლის, 2012 წლის და 2013 წლის 9 თვის ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგებები მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისათვის 2012 წლის 31 დეკემბრისათვის და 2013 წლის 30 სექტემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011 წლის ანგარიშში (ბალანსის დანართი ფორმა N2) საერთო ფაქტობრივი ხარჯი შემცირებული იყო 4,204 ლარის ოდენობით, ვინაიდან არ იყო აღრიცხული 2011 წლის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ხარჯი - ძირითადი კაპიტალის მოხმარება (2011 წლის არაფინანსური აქტივების ცვეთა)¹. თუმცა აღნიშნული ხარვეზს არსებით გავლენა არ მოუხდენია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგების უტყუარობაზე, ვინაიდან 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ბალანსის შემადგენელი ფორმა N3-ში (ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ) და ფორმა N5-ში (ანგარიში

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები;

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება სრულად იყო აღრიცხული.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2011-2013 წლის 9 თვეში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯული იყო შესაბამისად 19,970.00 ლარი, 20,983.37 ლარი და 12,800.00 ლარი.

მინისტრის ბძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2011, 2012 და 2013 წლის 9 თვის მთელი ან გარკვეული პერიოდების განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე საშუალოდ 5 მომუშავე.

მოქმედი კანონმდებლობის² თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2011 წელს, 2012 წელს და 2013 წლის 9 თვეში საშუალოდ 3 პირი აყვანილია თითქმის მთელ პერიოდებში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო სპეციალისტის ან მდივან-რეფერენტის ფუნქციების შესრულება. მათზე თვეში ანაზღაურებულია 500-550 ლარი.

რისკები

აფხაზეთის მინისტრის აპარატს არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს ყველა რისკის მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა³.

² „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოხოვნა

³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მოთხოვნები.

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N1 - ბალანსი 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2011
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
მოთხოვნები მივლინებით		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით		
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები		
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		14,846
სხვა ძირითადი აქტივები		
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები		
არაწარმოებული აქტივები		
სულ არაფინანსური აქტივები		
ბალანსი		14,846
ვალდებულებები და კაპიტალი		
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		
გადასახდელი დღგ		
ვალდებულებები მივლინებით		
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით		
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები		
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება		14,846
გაუნაწილებელი მოგება		
სულ კაპიტალი		
ბალანსი		14,846
საცნობარო მუხლები		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში		4,255
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		344

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი
 ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	113,625	133,424	131,721	131,720.75	131,720.75	131,720.75	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	107,880	103,844	102,141	102,140.75	102,140.75	102,140.75	
1.1.1.3 პრემია	5,745	29,580	29,580	29,580	29,580	29,580	
1.2 საქონელი და მომსახურება	38,520	40,520	36,295.70	36,295.68	36,295.68	36,295.68	
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	20,520	20,520	19,970	19,970	19,970	19,970	
1.2.2 მივლინებები	1500	1500	945	945	945	945	
1.2.3 ოფისის ხარჯები	6,400	4,460	3,390.68	3,390.68	3,390.68	3,390.68	
1.2.6 სამედიცინო ხარჯები							
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენ. დაკავშირებული ხარჯი							
1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკის, და იარაღის მოვლა-შენახვის ხარჯები	10,000	13,540	11,540	11,540	11,540	11,540	
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	100	500	450	450	450	450	
1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება							
1.6 გრანტები							
1.6.2							
1.6.3							
1.7 სოციალური უზრუნველყოფა		536	536	536	536	536	
1.7.3							
1.8 სხვა ხარჯები							
სულ ხარჯები	15,145	144,480	168,552	168,552.43	168,552.43	168,552.43	

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(131,720.80)
საქონელი და მომსახურება	(36,295.68)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(4,204)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	<i>(4,204)</i>
სოციალური უზრუნველყოფა	(536)
აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	
<i>მ.შ. ძირითადი აქტივების</i>	
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	(172,756.43)
სულ ჯამი	172,756.43
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	18,073
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	169,529.43
შემოსავლები	
<i>მ.შ. გრანტები</i>	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	
<i>მ. შ. ძირითადი აქტივები</i>	
<i>არაწარმოებული აქტივები</i>	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	169,529.43
სულ ჯამი	187,602.43

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

მიღება								გასვლა						
არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის საწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან შესაძენად	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	გრანტები	სხვა ხარჯები	საქონელი მომსახურე	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
ძირითადი აქტივები		18,073	977						4,204					14,846
შენობა-ნაგებობები														
არასაცხოვრებელი შენობები														
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		18,073	977						4204					14,846
სატრანსპორტო საშუალებები		13,990							2,446					11,544
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		4,083	977						1,758					3,302
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები														
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები														
სულ ძირითადი აქტივები														
მატერიალური მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები და სათადარიგო ნაწილები														
სულ მატერიალური მარაგები														
ფასეულობები														
არაწარმოებული აქტივები														
მიწა														
სულ არაწარმოებული აქტივები														
სულ მატერიალური აქტივები														

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს (ათას ლარში)

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: - 1	11,540	11,540			11,540	11,540
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ: - 1	11,540	11,540			11,540	11,540
<i>აქედან</i>	-	-	-	-	-	-
ა) პერსონალური სარგებლობის: - 1	11,540	11,540			11,540	11,540
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის -	-	-	-	-	-	-
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების: -	-	-	-	-	-	-

	შენიშვნა	2012
აქტივები		
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		
ხაზინის სავალუტო ანგარიში		
გადახდილი დღგ		
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		
სხვა საგადასახადო აქტივი		
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები		
სხვა მატერიალური მარაგები		
სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები		
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		133,303.44
სხვა ძირითადი აქტივები		
არაწარმოებული აქტივები		
სულ არაფინანსური აქტივები		133,303.44
ბალანსი		133,303.44
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		
გადახდილი დღგ		
სხვა გადასახდელები		
შტატიტდარიცხული ხელფასები		
ვალდებულებებილიმივლინებით ქვეყნის შიგნით		
სხვა მოკლენადიანი კრედიტორული დავალიანებები		
ბალანსი		
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება		133,303.44
გაუნაწილებელი მოგება		
სულ კაპიტალი		
ბალანსი		133,303.44
საცნობარო მუხლები		
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		
ექსპლუატაციასი მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი		
მცირეფასიანი აქტივები		
ვადაგადაცილებული დავალიანებები		

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი		დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		186,690	205,323	200,098.92	200,098.92	200,098.92	204,325.92	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		128,280	134,126	133,696.97	133,696.97	133,696.97	133,696.97	
1.1.1.3 პრემია		13,290	28,498	28,498	28,498	28,498	28,498	
1.2 საქონელი და მომსახურება	9	45,120	42,423	37,628.08	37,628.08	37,628.08	37,628.08	
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		27,120	22,423	20,983.37	20,983.37	20,983.37	20,983.37	
1.2.2 მივლინებები		1,500	1,500	905	905	905	905	
1.2.3 ოფისის ხარჯები		6,400	6,400	4,333.61	4,333.61	4,333.61	4,333.61	
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები								
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები								
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		10,000	12,000	11,381.10	11,381.10	11,381.10	11,381.10	
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		100	100	25	25	25	25	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება							4,227	4,227
1.6 გრანტები								
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა		276	275.87	275.87	275.87	275.87	275.87	
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდხმარება		276	275.87	275.87	275.87	275.87	275.87	
1.8 სხვა ხარჯები								
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები								
1. სულ ხარჯები								

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(162,194.97)
საქონელი და მომსახურება	(37,628.08)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(4,227)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	<i>(4,227)</i>
სოციალური უზრუნველყოფა	(257.87)
აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	
<i>მ.შ. ძირითადი აქტივების</i>	
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
ბალანსი	(204,325.92)
სულ ჯამი	204,325.92
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2013	14,846
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	201,098.92
შემოსავლები	
<i>მ.შ. გრანტები</i>	
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	1,684.44
<i>მ. შ. ძირითადი აქტივები</i>	
<i>არაფინანსური აქტივები</i>	<i>1,684.44</i>
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	202,783.36
სულ ჯამი	13,303.44
ნაშთი პერიოდის ბოლოს	13,303.44

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

მიღება								გასვლა						
არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის საწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან შესაძენად	სხვა მიღებები	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	გრანტები	სხვა გასვლები	საქონელი მომსახურე	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
ძირითადი აქტივები		14,846	1000		1684				4227					13,303
შენობა-ნაგებობები														
არასაცხოვრებელი შენობები														
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		14,846	1000		1684				4227					13,303
სატრანსპორტო საშუალებები		11,544							2,446					9,098
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		3,302	1,000		1,684				1,781					4,205
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები														
სულ ძირითადი აქტივები														
მატერიალური მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები და სათადარიგო ნაწილები														
სულ მატერიალური მარაგები														
ფასეულობები														
არაწარმოებული აქტივები														
მიწა														
სულ არაწარმოებული აქტივები														
სულ მატერიალური აქტივები														

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ათ.ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები															
მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)				
			შემენა	სხვა სახით	ექსპლუატა	რაოდენობა									
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადა რიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადა რიგო ნაწილები	
1 სატრანსპორტო საშუალებები სულ:	1			-	-		11,381	50	10,653	678	11,381	50	10,653	678	
მ.შ. მსუბუქი მანქანები				-	-		-	-	-	-	-	-	-	-	
ჯიპები და პიკაპები	1		-	-	-		11,381	50	10,653	678	11,381	50	10,653	678	
სატვირთო		-	-	-	-		-							-	
2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	12	-	1	4	-		-							-	
მობილური ტელეფონები	3	1	-	-	-		-							-	
ტელევიზორები	3	-	-												
კომპიუტერები	3	-	1												

	შენიშვნა	2013
აქტივები		
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		
ხაზინის სავალუტო ანგარიში		
გადახდილი დღგ		
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		
სხვა საგადასახადო აქტივი		
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები		
სხვა მატერიალური მარაგები		
სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები		
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		13,303.44
სხვა ძირითადი აქტივები		
არაწარმოებული აქტივები		
სულ არაფინანსური აქტივები		13,303.44
ბალანსი		13,303.44
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		
გადახდილი დღგ		
სხვა გადასახდელები		
შტატითდარიცხული ხელფასები		
ვალდებულებებილმივლინებით ქვეყნის შიგნით		
სხვა მოკლენადიანი კრედიტორული დავალიანებები		
სულ ვალდებულებები		
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება		13,303.44
გაუნაწილებელი მოგება		
სულ კაპიტალი		
ბალანსი		13,303.44
საცნობარო მუხლები		
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		
ექსპლუატაციასი მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი		
მცირეფასიანი აქტივები		
ვადაგადაცილებული დავალიანებები		

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 30 სექტემბერს

ხარჯების ჩამონათვალი		დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		165,490	130,712	126,773.50	126,773.50	126,773.50	126,773.50	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		152,760		107,793.50	107,793.50	107,793.50	107,793.50	
1.1.1.3 პრემია		12,730		18,980	107,793.50	107,793.50	107,793.50	
1.2 საქონელი და მომსახურება		49,340	30,315	24,132.95	22,997.25	22,997.25	22,997.25	
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		27,600	12,800	12,800	12,800	12,800	12,800	
1.2.2 მივლინებები		1,500	1,125	875	875	875	875	
1.2.3 ოფისის ხარჯები		6,490	5,565	2,042.45	1,783.84	1,783.84	1,783.84	
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები								
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები								
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		13,550	10,625	8,415.50	7,538.41	7,538.41	7,538.41	
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		200	200	0	0	0	0	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება								
1.6 გრანტები								
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა								
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდხმარება								
1.8 სხვა ხარჯები								
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები								
1. სულ ხარჯები		214,830	166,715	155,394	154,257.56	154,257.56	154,257.56	

სადებეტო ბრუნვა

მომუშავეთა ანაზღაურება (126,773.50)

საქონელი და მომსახურება (22,997.25)

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

მ.შ. ფიზიკური ცვეთა

სოციალური უზრუნველყოფა (4,486.81)

აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა

მ.შ. ძირითადი აქტივების

მატერიალური მარაგების

არაწარმოებული აქტივების

სხვა ეკონომიკური ნაკადები

აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები

ბალანსი (154,257.56)

სულ ჯამი 154,257.56

ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011

საკრედიტო ბრუნვა

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 154,257.56

შემოსავლები

მ.შ. გრანტები

აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება

მ. შ. ძირითადი აქტივები

არაფინანსური აქტივები

აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები

სულ საკრედიტო ბრუნვა 154,257.56

სულ ჯამი 167,561

ნაშთი პერიოდის ბოლოს 13,303.44

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 30 სექტემბერს

მიღება								გასვლა						
არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის საწყისისათვის	ეკონომიკური საქმიანობით შესყიდვა	გრანტებით	იმავლე დონის სახელმწიფო ერთეულიდან შესაძენი	სხვა მიღებები	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	გრანტები	სხვა გასვლები	საქონელი მომსახურე	იმავლე დონის სახელმწიფო ერთეულიდან	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
ძირითადი აქტივები		13,303												13,303
შენობა-ნაგებობები														
არასაცხოვრებელი შენობები														
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		13,303												13,303
სატრანსპორტო საშუალებები		9,098												9,098
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		4,205												4,205
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები														
სულ ძირითადი აქტივები														
მატერიალური მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები და სათადარიგო ნაწილები														
სულ მატერიალური მარაგები														
ფასეულობები														
არაწარმოებული აქტივები														
მიწა														
სულ არაწარმოებული აქტივები														
სულ მატერიალური აქტივები														

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ათ.ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 30 სექტემბერს

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები															
მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)				
			შემენა	სხვა სახით	ექსპლუატა	რაოდენობა									
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადა რიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	
1 სატრანსპორტო საშუალებები სულ:	1			-	-		7,538.41	155	6,209.91	1,173.50	7,538.41	155	6,209.91	1,173.50	
მ.შ. მსუბუქი მანქანები				-	-		-	-	-	-	-	-	-	-	
ჯიპები და პიკაპები	1		-	-	-		7,538.41	155	6,209.91	1,173.50	7,538.41	155	6,209.91	1,173.50	
სატვირთო		-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-	-	
2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	17	-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-	-	
მობილური ტელეფონები	3	-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-	-	
ტელევიზორები	3	1													
კომპიუტერები	4														

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებითა და აფხაზეთის მთავრობის 18.09.2006 წლის N35 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

აფხაზეთის მინისტრის აპარატს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

აფხაზეთის მინისტრის აპარატის შემადგენლობაა:

- ა) აფხაზეთის მინისტრის მოადგილე;
- ბ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი;
- გ) აფხაზეთის მინისტრის მთავარი მრჩეველი;
- დ) აფხაზეთის მინისტრის თანაშემწე;
- ე) მთავარი სპეციალისტი;
- ვ) ბუღალტერი.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის საქმიანობის განხორციელების მიზნით, აფხაზეთის მინისტრის აპარატი:

ა) შეიმუშავებს და განსახილველად წარადგენს მოსაზრებებს ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით, სტრატეგიული კურსისა და ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს; მონაწილეობს თავდაცვისუნარიანობისა და სამოქალაქო თავდაცვის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას;

გ1) უზრუნველყოფს ზემო აფხაზეთში განთავსებული აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებისა და შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციას;

დ) ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით აფხაზეთის მინისტრისათვის წარსადგენად შეიმუშავებს შესაბამის ინიციატივებსა და წინადადებებს;

ე) უზრუნველყოფს ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით აფხაზეთის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს;

ვ) შეიმუშავებს და წარმართავს აფხაზეთის მინისტრის აპარატის კომპეტენციას განკუთვნილ სფეროებში პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალურეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, კანონებით, სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მოსამზადებლის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

ა) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

აფხაზეთის სამინისტროს აპარატში 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მოთხოვნები არ ირიცხებოდა.

4. ვალდებულებები

აფხაზეთის სამინისტროს აპარატში 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ვალდებულებები არ ირიცხებოდა.

5. სხვა განმარტებები

2011-2013 წლის 9 თვეში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯული იყო შესაბამისად 19,970 ლარი, 20,983.37 ლარი და 12,800 ლარი. ხელშეკრულებების საფუძველზე 2011- 2013 წლებში დასაქმებული იყო შტატგარეშე საშუალოდ 4 მომუშავე. აქედან ორი პირი აყვანილი იყვნენ მთელი წლის პერიოდში სპეციალისტებად. მათზე თვეში ანაზღაურებულია 500-550 ლარი.

აფხაზეთის სამინისტროს აპარატს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე არ ქონდა განსაზღვრული სააგენტოს წინაშე არსებული რისკის შემცველი სფეროები. ასევე არ ხორციელდებოდა ოპერაციების კონტროლის სისტემების ადეკვატურობის შეფასება; რისკის მართვა არ არის განხორციელებული ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ანგარიშების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI-4200) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია აფხაზეთის მინისტრის აპარატის ანგარიშებში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, აფხაზეთის მინისტრის აპარატის მიერ 2011 წელს, 2012 წელს და 2013 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობა ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2011 წლის, 2012 წლის და 2013 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშების თანხმად, აფხაზეთის მინისტრის აპარატის მიერ გაწეულია საქმიანობა ძირითადად შემდეგი მიმართულებით:

სტრატეგიული კურსის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები

აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2011-2013 წლების სამუშაო გეგმების თანახმად, პრიორიტეტებს და ძირითადი მიმართულებებს წარმოადგენდა ზემო აფხაზეთიდან დევნილთა უმნიშვნელოვანესი პრობლემების (განსახლება, ფართის დაკანონება, კომპენსაცია, ინტეგრაციული პროცესების მართვა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა სოციალური საკითხების) მოგვარება და მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე შესაძლებლობის ფარგლებში დევნილებისათვის დახმარების გაწევა.

გარდა აღნიშნულისა, 2011-2013 წლებში ხორციელდებოდა თავდაცვის უნარიანობისა და სამოქალაქო თავდაცვის ამდლების და პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები, კერძოდ:

- 2012-2013 წლებში ჩატარდა ლაშქრობის ტიპის ექსკურსიები რაჭაში და წყნეთიდან ახლდაბა-ბეთანიის მიმართულებით; ასევე განხორციელდა სათხილამურო შეჯიბრებები გუდაურში; მოეწყო ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასის ფეხბურთის ტურნირები;
- 2011 წელს განხორციელდა სრული ინფორმაციის მოპოვება იმ პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიმართული იყო ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლდა ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 929 ოჯახი (2,514 სული);
- 2012 წელს ქ. ქუთაისში დევნილებისთვის განხორციელდა სხვადასხვა სახის სოციალური (ძირითადად კომუნალური ხასიათის) დახმარება;

აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების (შესაბამისი სტრუქტურების) საქმიანობის კოორდინაციისა და განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები

2011-2013 წლებში აფხაზეთის მინისტრის აპარატისა და აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის (გამგეობის დაფინანსებით) ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად სოციალური პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა სოციალურ კატეგორიების მიხედვით ზემო აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისათვის გაწეული იქნა ერთჯერადი ფულადი დახმარებები;

2013 წელს ქ. ქუთაისში კომპაქტურად განსახლებულ დევნილთა საყოფაცხოვრებო პრობლემების, კერძოდ გაზიფიკაციისა და სახლების გადახურვის საკითხების მოსაგვარებლად, ჩატარდა ერთობლივი შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლებასთან, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან, ასევე დევნილებთან;

2013 წელს მოეწყო შეხვედრები თეთრიწყაროს რაიონის სოფლებში, ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებთან, მათ წინაშე სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოქმნილი პრობლემების დასაზუსტებლად და შესათანხმებლად;

2011-2013 წლებში შესაძლებლობების ფარგლებში ხორციელდებოდა თითოეული იმ დევნილის დახმარება, რომლებმაც აფხაზეთის მინისტრის აპარატს მომართეს სხვადასხვა შინაარსის თხოვნით. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა დახმარების გაწევა აღემატებოდა აფხაზეთის მინისტრის აპარატის კომპეტენციას, ხდებოდა მოქალაქეებისათვის შუამდგომლობის გაწევა საქართველოს ან აფხაზეთის შესაბამის უწყებებში;

ყოველივე ზემოაღნიშნული საქმიანობის (ღონისძიებების) შესწავლით გაირკვა, რომ აფხაზეთის მინისტრის აპარატის მიერ აუდიტის პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი სახის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც სრულად ასახავდნენ 2011-2013 წლების საქმიანობის ანგარიშებში ასახულ ღონისძიებებში ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის მონაწილეობას და/ან ამ ღონისძიებების ორგანიზებას (ხელმძღვანელობას).

აუდიტის ჯგუფი:



გიორგი ფრუიძე

25 ნოემბერი 2013 წელი